რეზო ემელიანე ადამია

ტეხენტი გხანელი –

სისხლიდან ცხემლი

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი

მხატვარი
რეზო ემელიანე ადამია

ISBN 978-9941-9015-7-7

© გამომცემლობა ინტელექტი, 2008
© რეზო ემელიანე ადამია, 2008

წინათქმა

ტერენტი გრანელის ღრმა, უკიდურესი სევდითა და მელანქოლიური განწყობით აღბეჭდილმა ლექსებმა იმთავითვე გაიკვალა გზა პოეზიის მოყვარულთა გულებისაკენ. ტანჯული პოეტის შინაგანი ურთულესი ბუნება, სულიერება, გულისთქმა და მზერა სამყაროს მწუხარედ აღიქვამს და სწორედ ამ სიმწუხარეში ცდილობს საკუთარი „მეს“ მოპოვებასა და დამკვიდრებას. მისი სულიერი არსება საოცარ სიახლოვეს ამჟღავნებს ასევე ცხოვრებისაგან გატანჯულ ნიკო ფიროსმანაშვილთან, რომელსაც ტრაგიკული განცდებით აღსავსე ლექსი მიუძღვნა. იქნებ, ეს გახდა შთამაგონებელი წყარო ჩვენი თანამედროვეობის აღიარებული ფერმწერის რეზო ადამიას ესსეებისა, ტერენტი გრანელის პოეზიის სიყვარულით რომ არის გამთბარი და გასხივოსნებული.

ხელოვანის სულიერი თვალი და მსოფლხედვა თავისებურად აღიქვამს მეორე ხელოვანის მემკვიდრეობას, ვფიქრობ, მათი შეხვედრა ყოველთვის საინტერესოა და მრავლისმთქმელი, რადგან ორ მონათესავე

სულს შორის დიალოგი ეფუძნება სამყაროს ორიგინალურ აღქმას, მსოფლმხედველობას, ღრმა ფსიქოლოგიზმს, რომელთა ახსნა ლოგიკური მსჯელობით შეუძლებელია ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან რთული. მათი სულიერი ნათესაობის გამოვლინება ხშირ შემთხვევაში ინტუიტიურია, ოღონდ სულიერი ჭვრეტის შედეგად მიღებული. ამიტომ რეზო ადამიას თვალით დანახული ტერენტი გრანელი და მისი სევდიანი პოეზია თვით პოეტის ზეყოფიერების სიმაღლეებისაკენ სწრაფვით, ღმერთთან შერწყმის სურვილით, ზოგჯერ სიცოცხლის წყურვილითაც წარმოჩნდება და მისი საოცრად ტევადი, მრავლისგანმცდელი სული ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავ განწყობათა ნიჭიერად გადმოცემით მწუხარებით შთაგონებული პოეტის სავიზიტო ბარათად გვევლინება.

ტერენტი გრანელი, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე მისი პოეზიით დაინტერესებული მკითხველები, სამართლიანი იქნება, თუ მათ რიცხვს ლიტერატორთაც მივაკუთვნებთ, სევდის, მწუხარების, ღრმა სუბიექტური განცდების მქონე პოეტად მიიჩნევა,

რომელიც განწირულის სულისკვეთებით იყო შეპყრობილი. ტერენტი გრანელის სახელი იდუმალებითაა აღსავსე, რასაც ხელი შეუწყო სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში მისმა მივიწყებამ, მეტიც, მისი შემოქმედების უგულებელყოფას. საკვირველი კი არის, როგორ შეიძლებოდა „Memento mori"-ისა და სხვა შედევრთა სახელის იგნორირება. მან ხომ თავისი პირადული განცდები ზოგადკაცობრიულ დონემდე აიყვანა და აჩვენა ობოლი სულის მძიმე ტრაგედია, გამოწვეული საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ღრმა უფსკრულით, ადამიანის ცხოვრების ამაოების მძაფრი განცდითა და შეგნებით.

პოეტის ამ კოსმიური აღქმის, ბედისწერას დამორჩილებული შემოქმედის მსოფლგანცდის შეცნობის თავის ინდივიდუალურ გააზრებას გვთავაზობს წინამდებარე წიგნში მხატვარი რეზო ადამია.

პროფესორი **ნესტან სულავა**